ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2412380

ნომერი: AR1372848

თარიღი : 24.01.2016

გაცემის თარიღი : 03.02.2016

გაცნობის თარიღი : 04.02.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N194- ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ფარნაოზ ზაქარაია პ/ნ 65002005059
- ი.ნიკოლაძის #8 ქ.თბილისი

ორგანიზაცია:

- შპს "ხეთა" კოდი: 203836135

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  კორექტირება
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. N149–ის მიმდებარედ შეთანხმებული ღობისა და 60 კვ.მ-მდე მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობის პროექტის კორექტირების საკითხს. რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ №2402779 გადაწყვეტილებით გეცნობათ თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:-
წარმოდგენილ უნდა იქნას მოსარგებლეების – შალვა სახელაშვილის და შპს ბაზარის თანხმობები (– შალვა სახელაშვილის და ქვემოიჯარის შპს ბაზარის დირექტორის – აკაკი ბიჭოშვილის თანხმობა, მისაღები არ არის, ვინაიდან თანხმობის ტექსტის შესაბამისად, ისინი თანხმობას აცხადებენ შეთანხმებული პროექტის კორექტირებაზე აქტის თანდართული პროექტის/ფოტომონტაჟის მიხედვით. გაურკვეველია რომელი აქტის თანდართული პროექტი/ფოტომონტაჟი იგულისხმება).
ვინაიდან, თქვენს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ხარვეზი, ამ ეტაპზე აღმიშნული საკითხი დარჩება განუხილველი. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის და სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზის სრულად შევსების შემდგომ შესაძლებელი იქნება საკითხის განმეორებით განხილვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.